საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 103 2025 წლის 20 იანვარი ქ. თბილისი

უმაღლესი განათლების რეფორმის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის განხორციელების მიზნით:

ა) შეიქმნას უმაღლესი განათლების რეფორმის სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია), შემდეგი შემადგენლობით:

ა.ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრი – კომისიის თავმჯდომარე;

ა.ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ა.გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლებისა და მეცნიერების საკითხებში – კომისიის მდივანი;

ა.დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი – კომისიის წევრი;

ა.ე) საქართველოს ფინანსთა მინისტრი – კომისიის წევრი;

ა.ვ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – კომისიის წევრი;

ა.ზ) საქართველოს იუსტიციის მინისტრი – კომისიის წევრი;

ა.თ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – კომისიის წევრი;

ა.ი) საქართველოს კულტურის მინისტრი – კომისიის წევრი;

ა.კ) საქართველოს სპორტის მინისტრი – კომისიის წევრი;

ა.ლ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

ა.მ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე – კომისიის წევრი;

ა.ნ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი – კომისიის წევრი;

ა.ო) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი – კომისიის წევრი;

ბ) კომისიის მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს.

2. კომისია შეიკრიბოს საჭიროებისამებრ და განიხილოს საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე